

„ნაციონალური მოძრაობისთვის“ ბახტაძის შემოწირუდების საკითხს აუდიტის სამსახური შეისწავდის



აუდიტის სამსახური მამუკა ბახტაძის მიერ 2012 წლის აგვისტოში „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შემოწირუდების სახით 20 000 ლარის გადარიცხვის საკითხს შეისწავდის.

„ჩვენ არასამთავრობო სექტორმა მოგვმართა. ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხს შევისწავლით და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გავცემთ პასუხს. არსებობს კითხვები, არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაზეც არასამთავრობო სექტორმა ოფიციალურად მოგვმართა. ჩვენ მოვახდენთ საკითხის შესწავლას, ექსპერტიზას და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში არგუმენტირებულ პასუხს გავცემთ“,- განაცხადა გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა.

მექვაბიშვილის ინფორმაციით, აუდიტის სამსახურს არასამთავრობო სექტორმა მიმართა. მანამდე, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ ბრადდების საპასუხო პარლამენტში განცხადა, რომ “ნაციონალური მოძრაობისთვის” თანხა არასდროს შეუწირავს.

მისი თქმით, 2012 წელს “ქართულ ოცნებას” რომ არ ჰქონოდა საშუალება დაეფინანსებინა პარტია, შეცვარეს კანონი და იურიდიულ პირებს აეკრძადათ პარტიების დაფინანსება. აქედან გამომდინარე მისი პირადი ანგარიშის ტექნიკური გამოყენება მოხდა.